# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 254

„ 14 " ივლისი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, სამთო ქიმიის მოპირდაპირედ, „იბერია - 97"-სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული №01.13.03.051.038 და №01.13.03.051.037 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული 29 კვ.მ. და 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთების მარინა ჯაშისთვის (პ/ნ: 01008027455) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ.თბილისში, სამთო ქიმიის მოპირდაპირედ, „იბერია - 97"-სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული №01.13.03.051.038 და №01.13.03.051.037 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული 29 კვ.მ. და 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთების მარინა ჯაშისთვის (პ/ნ: 01008027455) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 5 ივლისის N24.08.481 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, სამთო ქიმიის მოპირდაპირედ, „იბერია - 97"-სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.03.051.038) და ქ.თბილისში, სამთო ქიმიის მოპირდაპირედ, „იბერია - 97"- სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.03.051.037) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მარინა ჯაშისთვის (პ/ნ: 01008027455) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 100 (შვიდი ათას ასი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი